ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 193 (19634) ◆ შაბათი, 23 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

შრომითი ქრონიკა

ჩაი-86 სეზონი იწურება, ჩამორჩენა კვლავ გრძელდება

ჩვენი სასოფლო-სამეურნეო მიმოხილვა

ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი იწურება, დრო მცირეღა დარჩა — ორ თვეზე ცოტა მეტი. ჩამორჩენა საკმაოდ დიდია. ახლანდელი ტემპი არ კმარა საგეგმო დავალების უთუო შესრულებისათვის. ამაზე მეტყველებს საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული მონაცემები. 22 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია და გადამუშავებელ მრეწველობას ჩაბარდა 307.882 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილიყო 412.548 ტონა ჩაის ფოთოლი, სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და 104.665 ტონა შეადგინა.

შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა აგვისტოში. ამ თვეს 130.000 ტონა ნედლეული უნდა დამზადდეს. გასულ 21 დღეში დამზადდა მხოლოდ 47.131 ტონა, რაც თვის გეგმის 36,2 პროცენტია. მეჩაიეებს მართებთ უაღრესად დაძაბული შრომა ჩამორჩენის დასაძლევად და სამეურნეო წლის წარმატებით დასამთავრებლად.

22 აგვისტოსათვის მახარაძის რაიონში სულ დამზადებული იყო 44.497 ტონა ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — [illegible], გალში — 33.740, ქობულეთში — 23.204, ოჩამჩირეში — 25.794, ფალენჯიხაში — 21.718, ჩხოროწყუში — [illegible], [illegible] — 15.236, [illegible] — [illegible], [illegible]ჩაურეში — 14.317, ჩიტაურში — [illegible], [illegible] — [illegible], [illegible] — 7.635, ქ. წყალტუბოს ზონაში — 7.627, ხობში — 5.776, წულუკიძეში — 6.429, გეგეჭკორში — 5.470, სამტრედიაში — 1.647, გულრიფშში — 1.401, თერჯოლაში — 794, ქ. ჭიათურის ზონაში — 983, ქედაში — 899, ვანში — 830, აბაშაში — 270, სოხუმში — 489, ზესტაფონში — 59 ტონა.

ახლა ჩაის ფოთოლი საკრეფად აკელგან შემოსულია, ეტემპაც იმატა. ამას მოწმობს ისიც, რომ 18 აგვისტოს რესპუბლიკაში 2.396 ტონა ნედლეული დამზადდა, 19 აგვისტოს — 2.590, 20 აგვისტოს — 3.292, ხოლო 21 აგვისტოს — 3.701 ტონა. მაგრამ ეს სრულიად არ კმარა.

ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობის მექანიზატორები კვლავ უგერგილოდ, მოუქნელად მუშაობენ. აბა, სხვას რას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ 190.000 ტონიდან მობილური და ჩაის საკრეფი მცირე მექანიზაციით 20 აგვისტოსათვის მოკრეფილი იყო 53.634 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 28,2 პროცენტია. ამ მხრივ ტემპს დაჩქარება მართებთ მახარაძელ, ზუგდიდელ, გალელ, ოჩამჩირელ, ქობულეთელ, ხელვაჩაურელ, წალენჯიხელ, ჩხოროწყუელ, გეგეჭკორელ, ლანჩხუთელ, ცხაკაიელ და სხვა რაიონების მექანიზატორებს.

ყოველი დღე, საათი მოიხმარონ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის უთუო შესრულებას — ეს არის დღეს ყველაზე გადაუდებელი საქმე მეჩაიე რაიონების მშრომელებისათვის.

● ●

საკვეგი—უფრო ქუათიანი!

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის რესპუბლიკური საპროექტო-საძიებო სადგურის კოწანისის ფილიალის თანამშრომლები გაემგზავრნენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. მათი ამოცანაა შეამოწმონ ადგილებზე დამზადებული საკვების ხარისხი, გაუკეთონ ზოოტექნიკური ანალიზი, გააკონტროლონ, თუ როგორ იცავენ სენაჟისა და სილოსის ჩადების ტექნოლოგიურ პროცესებს.

თუ საკვები არ აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნებს, თქვა ფილიალის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა მ. ჯორჯაძემ, მას შემდეგ რაც ოპერატიულად გამოირკვევა, რა კომპონენტები აკლია საკვებს, მეცნიერთა რეკომენდაციებით მოხდება მათი გამდიდრება. ამ ზაფხულში მოძრავი ლაბორატორია-სადგურები ახალი, თანამედროვე მოწყობილობით აღიჭურვა. ეს საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ღრმა ანალიზები, რაც აუცილებლად დაეტყობა ყველა სახეობის საკვების უუათიანობის გადიდებას.

ფილიალის თანამშრომლებს გაპირიფენებული აქვთ აღმოსავლეთ საქართველოს 32 რაიონი — 400-ზე მეტი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ახასეულის ანალოგიური სადგურის მუშაკები მოემსახურებიან დასავლეთ საქართველოს მეურნეობებს.

შორშან კონტროლი დაუწესდა აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული უხეში საკვების ნახევარს. წელს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

(საქინფორმი).

დეპუტატის საპატიო მოვალეობა

თბილისი ამომრჩევლებთან შესახვედრად საქართველოში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი № 180 მცხეთის საარჩევნო ოლქისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი. იგ ეწვია კასპისა და მცხეთის რაიონებს, სადაც შეხვდა სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებს, სოფლის მშრომელებს, ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, გამოიკითხა, თუ რა წარმატებები აქვთ შრომითი კოლექტივებისა და მთლიანად რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, რა პრობლემებს აწყდებიან პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით თავიანთი მუშაობის გარდაქმნის პროცესში.

კასპის რაიონში თ. ნ. მენთეშაშვილი ეწვია მეფრინველეობის ფაბრიკასა და ქარხანა „ელექტროაპარატს“, მეტეხის საკედლე მასალების ქარხანას, იყო მათს საამქროებში, ესაუბრა მუშაკებს, გაეცნო საწარმოო გეგმებისა და

(დასასრული მე-2 გვ.)

დიდი პედსაბჭო

ეჭვი არ არსებობს, ოცტაც და, სკოლებში ისევ აწკრიალდება სექტემბრის ზარი, ისევ მოუსხდებიან მერხებს ყმაწვილები და დაიწყება, მართლაც რომ, განსაკუთრებული შინაარსით, განსაკუთრებული აზრითა და განწყობილებით აღსავსე პირველი გაკვეთილი — მშვიდობის გაკვეთილი. ეს შესანიშნავ ტრადიციად ქცეული გაკვეთილი ყველა ჩვენგანის, მთელი საბჭოთა ხალხის, მილიონობით კეთილი ნების ადამიანის უმთავრეს საოქმელს იტევს — დაე, მარად ულრუბლო ცა დანათოდეს ბავშვებს, დაე, სიხარული სდევდეს თან მათი ცხოვრების გზას!

მომავალ თაობას სწავლისა და აღზრდის საუკეთესო პირობები რომ ჰქონდეს, საამისოდ არაფერს იშურებს ჩვენი დიდი ქვეყანა, რომელიც მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია. ამ აზრის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებად იქცა საბჭოთა კავშირის ახალი პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც ტელევიზიით გამოსვლისას ჩამოაყალიბა თავის განცხადებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. აი, მსოფლიოს ბედისათვის, კაცობრიობის მომავლისათვის პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჭეშმარიტად დაუვიწყარი და უბადლო გაკვეთილი!

რაღა თქმა უნდა, მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციებზე, რომლებიც ახლა მიმდინარეობს ჩვენთან, პედაგოგები ისმენენ ყოველივე ამის თაობაზე, ისმენენ, თუ რა კანონიერი სიამაყის გრძნობას აღუძრავს მათ აღსაზრდელებს — საბჭოეთის ნორჩ მოქალაქეებს იმის შეგნება, რომ მათი სამშობლო მუდამ იყო და არის კაცობრიობის ყველაზე ნათელი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის მედროშე.

მასწავლებელთა ახლანდელ კონფერენციებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის ფაქტი, რომ დამდეგი 1986-1987 სასწავლო წლის ამოცანებს განსაზღვრავს პარტიის XXVII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი, სკოლის რეფორმის ძირითადი შიგთავსულებანი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა, სახალხო განათლების ორგანოებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს გასულ სასწავლო წელს, რომელიც სახალხო განათლების მატიანეში შევა როგორც სასკოლო რეფორმის განხორციელების მეორე წელი. მაგრამ ახლა, როცა ჯამდება მიღწეული და მოპოვებული, მეტად საჭიროა ყურადღება მივაპყროთ ჯერაც გადაუჭრელ პრობლემებსა და ამოცანებს, იმას, თუ რისი გაკეთება გვმართებს უწინარეს ყოვლისა, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს პედაგოგიური კოლექტივების მთელი საქმიანობა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მიზნდასახულებათა შესაბამისად.

თავისთავად მეტყველი და მრავლისმომქმელია ის, რომ ფონფერენციის პლენარულ სხდომებზე განხილვისათვის რეკომენდებულია ორი ძირითადი მოხსენება: „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ზოგადსაგანმათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ“ და „1985-1986 სასწავლო წლის შედეგები და სკოლის რეფორმის განხორციელების ახალი ეტაპის პირობებში პედაგოგიური კოლექტივების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებანი“. პირველ საკითხზე სხდომებს მოხსენებებს წარადგენენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები და თავიანთავად ცხადია, ისინი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ, რამდენად პრინციპიალურ, გულსაწდილ, საქმიან ატმოსფეროში წარიმართება კონფერენციების მუშაობა მათი დაწყების დღიდან დამთავრებამდე.

აუცილებელია კონფერენციის ყველა მონაწილის ყურადღება მიექციოთ სკოლებში სკკპ XXVII ყრილობის მასალების შესწავლისა და პროპაგანდის მიზნით გაწეულ საქმიანობაში შეძენილ გამოცდილებასა და მომავლის ამოცანებს. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა განხილებოდეს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არსებითად გაუმჯობესებს მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შინაარსს, განმტკიცებს შეძენილ ბუნებრივ ადიდებულ ბრძოლაში.

აღვზარდოთ აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის მქონე პიროვნება, მოქალაქე, რომლისთვისაც ყველაზე მაღლა დგას საზოგადოებისა და ქვეყნის ინტერესები, ის, ვინც შეურიგებელად იბრძოლებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ჩვენს წინსვლას პარტიის დიდ მიზნდასახულობათა განხორციელების გზაზე! — აი, ჩვენი მასწავლებლის საბრძოლო დევიზი და მოწოდება.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ ამას წინათ საგანგებოდ იმსჯელა წერილზე „პატიოსნებისა და სამართლიანობისათვის“, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის ბრიგადირმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა გ. მეტონიძემ.

აღინიშნა რა, რომ პუბლიკაციაში წამოჭრილი უაღრესად აქტუალური საკითხები უშუალოდ ეხმიანება განათლების სისტემის წინაშე მდგომ მიზნებსა და ამოცანებს, მწვავედ, თვითკრიტიკულად ითქვა ისიც, რომ განათლების სისტემაში დღესაც არიან ცალკეული უპრინციპო და უღირსი მუშაკები, რომლებიც ჩირქს ცხებენ პედაგოგის წმინდა სახელს, სულიერად ამახინჯებენ აღსაზრდელებს.

გაზეთი „კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტაშიც, სამწუხაროდ, დროდადრო გამოერევა ხოლმე ბარათები, რომელთა ავტორებიც გვიტყობინებენ სკოლებში სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის, სახალხო განათლების სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, მექრთამეობის, პროტექციონიზმისა თუ სხვა ნეგატიური ფაქტების შესახებ.

მოზარდი თაობის აღზრდა ისე სათუთია, რომ მასთან არამცთუ აშკარად დანაშაულებრივი საქციელის, თვით გულგრილობისა და დაუდევრობის მცირეოდენი გამოვლინების, არაკომპეტენტურობის თითო-ოროლა ფაქტის მისადაგებაც არ შეიძლება. ამიტომაც მოეთხოვებათ პედაგოგთა აგვისტოს კონფერენციების მონაწილეებს მწვავე, გულსაწდილი მსჯელობა იმაზე, თუ რატომ გვხვდება ჯერაც ასე ხშირად შაბლონი და ფორმალიზმი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესში, რატომ ვერ ვაღწევთ ყოველთვის იმას, რომ მოსწავლე გაკვეთილის აქტიურ თანამონაწილედ ვაქციოთ, რატომ გვიჭირს სკოლებში პროფენტომანიის საბოლოოდ აღმოფხვრა და სხვა.

უფრო გამოწვლილვით ანალიზს მოითხოვს მოსწავლეთა მიერ თანამედროვე წარმოების მეცნიერული საფუძვლების შესწავლის, სწავლებისა და ნაყოფიერი შრომის ერთიანობის ლენინური პრინციპების განხორციელების პროცესში შეძენილი გამოცდილება, დღემდე გადაუჭრელ პრობლემათა გამომზეურება.

სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამრავალფეროვნებასთან, ამ მუშაობის გაქმიურებასთან ერთად სკოლის დიდი საზრუნავია უფრო ერთგულად ამოიყენოს მხარში თითოეული ოჯახი, სკოლის ავ-კარგის უშუალო თანამონაწილედ, მისი საზრუნავ-საფიქრალის თანამოზიარედ აქციოს ყოველი მშობელი, თორემ ზოგჯერ, ნებით თუ უნებურად, ისეც ხდება, რომ წლობით ნალოლიავებს თითქოს ერთი ხელის მოსმით დავუპირებთ ხოლმე წყალში გადაყრას. ამ თვალსაზრისით, კერძოდ, დამაფიქრებელია ფაქტები, რომლებიც მეტყველებენ, რა მწვავედ უპირისპირდებიან ერთმანეთს სკოლა და ოჯახი, მასწავლებლები და მშობლები, როცა მოსწავლეები სიმწიფის ატესტატზე გამოსაშვებ გამოცდებს აბარებენ, როგორც წესი, ასეთ დროს მშობლების დაუსაბუთებელი ამბიციები იჩენს თავს. მაგრამ ნურც იმაზე დავსუჭავთ თვალს, რომ ხანდახან მასწავლებლებიც არაჯანსაღ ენებათა ღელვას აყვებიან და არა მარტო ისინი, არამედ თანამდებობრივად სახალხო განათლების სისტემის საკმაოდ პასუხსაგებ პოსტებზე მყოფი ადამიანებიც საკუთარი მუნდირის ღირსებაზე უფრო ზრუნავენ ხოლმე, ვიდრე ახალგაზრდის ბედ-იღბალზე, მის მომავალზე, ეს კი ყოველად შეუწყნარებელია.

კიდევ არაერთი სადღესო საკმაოდ საკითხი აღიძვრის ახლა მომდინარე მასწავლებელთა კონფერენციებზე, რომლებიც, იმედია, ყველგან მაღალ იდეურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე ჩარიმართება.

ჩვენ საქმეებნო, სახალხო საქმისათვის თავდადებულ, ერთგულ მასწავლებელთა დიდი არმია გვყავს. მას ძალუძს გაართვას თავი თანამედროვეობის მიერ წამოჭრილ ყველაზე ძნელ საკითხებს, აღზარდოს მაამთა რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი, ხორცი შეასხას პარტიის დიდ გეგმებს.

პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ვალია ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენდნენ და წარმართავდნენ მუშაობას, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სკოლის წინაშე მდგარი უაღრესად რთული და საპატიო ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

21 აგვისტოს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის ქვეყნის ენერგეტიკის მომზადების მიმდინარეობის საკითხი. სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს, სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს, სხვა სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ გაზარდონ ენერგეტიკული მოწყობილობის რემონტის, ახალი ენერგოგარეგანგების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის, მათი სპარეტქო სიმძლავრეების სრული ათვისების, ელექტროსადგურებსა და საწარმოებში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში საიმედო ფუნქციონირების მიზნით სათბობის მარაგის დაგროვების სამუშაოთა ტემპი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ ყველგან დაზოგონ სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, საზამთროდ მომზადონ საბინაო-კომუნალური მეურნეობები, და მოსახლეობა უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო სათბობით. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წინადადება მიეცათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ ზამთრის პირობებში მუშაობისათვის მომზადების მიმდინარეობას, გაზარდონ მართვის ყველა რგოლის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა მისი ორგანიზებული მოწყობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს ხილმსტნეულითა და კარტოფილით ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისა და პროდუქციის დაცვა-შენახვისა და ხარისხის გაუმჯობესებით ამ ქალაქების ხილმოსტნეულის კომპლექსების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი. დასახულია მომავალ წლებში გაიზარდოს კარტოფილისა და ხილბოსტნეულის მიწოდება მოსკოვსა და ლენინგრადში, რათა მთლიანად იყოს უზრუნველყოფილი ამ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებანი კვების რაციონალური ნორმების გათვალისწინებით. დიდდება მთხოვნები მიმწოდებლებისადმი პროდუქციის ხარისხისათვის, განისაზღვრა ხილბოსტნეულისა და კარტოფილის შენახვის, გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სათბურების, სახარისხებელ-მიმღები პუნქტებისა და დამამზადებელ-გასაღების კომპლექტების მშენებლობის ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო კომიტეტებმა ენერგეტიკულ მეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და დამამზადებელ ორგანიზაციებთან მოსკოვის სქელაქო აგრომრეწვისა და ლენინგრადის საქალაქო აგრომრეწვის საწარმოთა პირდაპირი კავშირურთიერთობის გაფართოებას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის მათი ურთიერთპასუხისმგებლობის გადიდებას. მიზანშეწონილად ცნეს მნიშვნელოვნად გაზარდონ ბოსტნეული, ხილისა და კარტოფილის გაყიდვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ ქალაქების ბაზრებში. აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს „ცენტროსოიუზის“ როლი ხილბოსტნეულითა და კარტოფილით მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმეში. ძლიერდება სახელმწიფო და კოოპერაციული ხილბოსტნეულის კომპლექსების მუშაკთა მატერიალური დაცვა-შენახვისა და დამამზადებელ-გასაღების კომპლექტების მშენებლობის ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო კომიტეტებმა ბუნებრივი ბაზის, ბოსტნეულ-მიმღები პუნქტებისა და ხარისხის გაუმჯობესებით.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სახვითი ხელოვნების მოღვაწენი ყოველნაირად უნდა განამტკიცებდნენ კავშირს ხალხთან, აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა ადამიანების ესთეტიკურ აღზრდაში, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მხატვრებმა და არქიტექტორებმა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების იერ-სახის კომპლექსურ განვითარებასა და გაუმჯობესებას. უფრო თართად უნდა მონაწილეობდნენ მხატვრები და დიზაინერები სამრეწველო პროდუქციის, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებაში. დადგენილებაში დასახულია სახვითი ხელოვნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, შემოქმედებითს მუშაკთა შემდგომი სტიმულირების, კვეყანაში სამხატვრო განათლების განვითარების ღონისძიებანი.

მოიწონეს ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვისა და სუფანის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის ს. ალ-მაჰდის მოლაპარაკების შედეგები. ქმაყოფილებით აღინიშნა, რომ ერთმანეთს ემეგობრა საბჭოთა კავშირისა და სუფანის პოზიციები ბევრ საერთაშორისო საკითხში. უწინარეს ყოვლისა იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ვამალებული შეიარაღების ალაგმვასა და მშვიდობის განმტკიცებას. ითქვა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია გააფართოოს და გააღრმაოს ხელსაყრელი ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი და მთ გამო მიიღო შესაბამისი ჭადაწყვეტილებანი.

რეალიზმის პოლიტიკის შესაბამისად

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გრძელდება ხალხმრავალი მიტინგები და კრებები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების მხარდასაჭერად. განცხადებაში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური ინიციატივა — გაბანგრძლივდეს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი მომავალი წლის 1 იანვრამდე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მტკიცე, თანამიმდევრული საგარეო-პოლიტიკური კურსისათვის სიამაყის გრძნობას უსახავს ყოველ საბჭოთა ადამიანს. რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სულით და გულით იწონებენ განცხადებას და სამარცხვინო ბოძზე აკრავენ ახალი ომის გაჩაღებლებს, მოუწოდებენ მათ დაადგნენ რეალიზმის პოლიტიკას, აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ შრომით განამტკიცონ სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება.

მოსკოვიდან კვლავ გაისმა მშვიდობის ბედისათვის ღრმა შეშფოთებით გამსჭვალული გონივრული ხმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის განცხადება ჩვენი პლანეტის ყველა ხალხთა ფიქრებსა და მისწრაფებებს შეესაბამება, ხაზგასმით აღინიშნა აფხაზეთის შრომით კოლექტივების წარმომადგენელთა ხალხმრავალ მიტინგებზე.

— მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო ჩვენი პარტიის ხელმძღვანელის განცხადებამ, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ უცვლელია სსრ კავშირის კურსი — ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთის კურსი, — თქვა რესპუბლიკის აგრომრეწვის „ხილბოსტანრემშენის“ № 6 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას სამმართველოს უფროსმა ა. კოლონიამ.

გამოდის მოწინავე მუშა ნ. კოროშანიძე:

— იმ დროს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ უარი თქვა ბირთვულ აფეთქებებზე, ოკეანის გაღმა, ნევადაში, დემონსტრაციულად განაგრძობენ ახალ-ახალ სახეობათა გამოცდას პრეზიდენტ რეიგანის ლოკავა-კურთხევით. საბჭოთა კავშირს სურს მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად იცხოვროს ყველა ქვეყანასთან, და ყოველ ჩვენგანზეა დამოკიდებული, რომ ქვეყნად აღარ განმეორდეს ბირთვული ომის ტრაგედია. ეს თქვეს თავიანთ გამოსვლებში აგრეთვე მუშამ რ. კოპალიანმა, პარტბიუროს მდივანმა, შრომის ვეტერანმა ა. მინჯინამ, კადრების ინსპექტორმა მ. არაქელიანმა, ინჟინერმა გ. ჯობავამ, რომლებმაც მიტინგის მონაწილეებს მოუწოდეს დამკვრეელური შრომით განამტკიცონ მშვიდობა პლანეტაზე.

...150-ზე მეტი კაცი შეიკრიბა შუადღისას შესვენების დროს მიტინგზე, რომელიც აკრის თევზსაყერი ფლოტის სამმართველოს საკონსერვო-სანარსერვო საამქროში გაიმართა.

— საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება ერთხელ კიდევ დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, — თქვა საამქროს მუშამ ეფერ ზაიძემ. — მე ვზრდი ოთხ შვილს, რომლებსაც წინა აქვთ მთელი ცხოვრება. შეუქმნა პლანეტას ომის საფრთხე — ნიშნავს დაღუპო მომავალი.

ტრიბუნაზეა საამქროს უფროსი ოსტატი, დიდი სამამულო ომის მონაწილე თევდორე მარჩუკი.

— მაგონდება მრისხანე ორმოციანი წლები, ამბობს იგი. მაშინ ჩვენ, ახალგაზრდა მეზღვაურები, მშვიდობიან ზღვას ვნატრობდით. რამდენი სიცოცხლე შეეწირა ამ ოცნების ახდენას, ახლა კი დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი კვლავ ზრდიან არსენალებს, ამჟერად უკვე — ბირთვულს. მაგრამ უპირატესობას მაინც ვერ მიაღწევენ! ეს არაერთგზის მკაფიოდ განუცხადებია საბჭოთა მხარეს.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აკრის თევზსაკერი ფლოტის სამმართველოს სხვა საამქროებში. მიტინგების მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სსრ კავშირის ახალ ინიციატივას და განაცხადეს, რომ მზად არიან პირნათლად შეასრულონ კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანები.

— ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისაგან შეწყვიტოს ბირთვული გამოცდა, ყურად იღოს გონების ხმა, — თქვა ცხენვალის სამკერვალო ფაბრიკის პარტკომის მდივანმა ასიათ ქოქოევამ მიტინგის გახსნისას, რომელიც ამ საწარმოში გაიმართა საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო გადაწყვეტილების მხარდასაჭერად.

მიტინგზე გამოსვლისას მემოტორე მკერავებმა მარკო ბქიდლიძემ, თამარ ქოქოშვილმა, ტექნოლოგმა ანა ქუხაევამ და სხვებმა საწარმოს მშრომელთა სახელით განაცხადეს, რომ დედამიწაზე და კოსმოსში მშვიდობის შენარჩუნებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად ისინი კიდევ უფრო უკეთ იმუშავებენ, ყველა ღონეს იხმარენ მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის.

ადამიანის კეთილდღეობისათვის ნამდვილი ზრუნვის მაგალითი უწოდეს ქუთაისის რეზინტექნიკური ნაწარმის ქარხანაში გამართული მიტინგის მონაწილეებმა ახალ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებაშია ჩამოყალიბებული.

რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმიფარ ბოჭკოს“ მუშათა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადების მხარდასაჭერად აქ გამართული მიტინგის მონაწილეთა გამოსვლებში განსაკუთრებით გამოსჭვიოდა დედების ფუხილი კაცობრიობის ბედისათვის.

— საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შეტევის პროგრამა განუხრელად და თანამიმდევრულად ხორციელდება, — თქვა კორდის ქსოვილის წარმოების ოპერატორმა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა ნინო ბეკოშვილმა. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ქვეყანამ ცალმხრივი წესით გამოაცხადა ბირთვულ იარაღის ყოველგვარი გამოცდის მორატორიუმი. ჩვენი მორატორიუმები საქმით ამტკიცებენ, როდეს სერიოზული და წრფელია ბირთვული განიარაღების საბჭოთა პროგრამა.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე კორდის ქსოვილის წარმოების უფროსი რევაზ ქართველიშვილი, მგრეხავი ლეილა ღვალაძე, ცვლის უფროსი ლილი ბელიაევა, გადამხვევი ქეთევან ნოზაძე და სხვები, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, თუ როგორ საჭიროა გარჯით დაეამკვიდროთ ქვეყნად მშვიდობა, არ გავიაღებინოთ მილიტარისტებს ბირთვული ხანძარი.

(საქინფორმი).

მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის

20 აგვისტოს კრემლში გაიმართა სსრ კავშირში მშვიდობის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის სხდომა. განიხილეს საკითხი, რომ 1986 წლის 1 სექტემბერს სსრ კავშირში გაიმართოს მშვიდობის გაკვეთილი და მშვიდობისათვის პროფკავშირული მოქმედების საერთაშორისო დღის ღონისძიებანი.

სხდომას უძღვებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობისათვის სსრ კავშირის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობა მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ, უაღრესად პასუხსაგებ ისტორიულ პერიოდში. მიმდინარე წელი — სკკპ XXVII ყრილობის წელი — აღსავსეა საბჭოთა ხალხის პოლიტიკური აღმავლობითა და შრომითი აქტიურობით, რომელიც ახორციელებს ჩვენი საშობლოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიულ პროგრამას. ჩვენი ხალხის აღმშენებლობითი შრომა განუყოფელად არის დაკავშირებული მშვიდობის განმტკიცებისათვის, ბირთვული კატასტროფის საფრთხის თავიდან აცილებისათვის აქტიურ ბრძოლასთან.

ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ, რომლებიც თანამიმდევრულად ატარებენ მშვიდობისმ

სამზეო სახელები

დაფასება

მეჩაიის იუბილე

ალექსანდრა სტეფანიდი ქობულეთის რაიონის „წითელი ოქტომბრის“ კოლმეურნეობის მერგოლელია.

მის შრომითს თავდადებაზე მრავალი ორდენი, მედალი და სიგელი მეტყველებს. ბერძენი ქალი გახდა ქართული სოფლის თვალი. ალბათ, ალექსანდრას ისე არაფერი სიამოვნებს, როგორც მშობლიური სოფლის ორლობეში გავლა. იქ მას ბავშვებიც კი იცნობენ და მოწიწებით ესალმებიან. იმ სოფლის წარმატებებში, რომელმაც ბოლო ხუთ წელიწადში ორჯერ დაიმსახურა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ალექსანდრას მნიშვნელოვანი წვლილია.

მისი ბიოგრაფია სხვებისაგან არც განსხვავდება. ოჯახი, შვილები, შვილიშვილები. ოცდაათი წელია რგოლს ხელმძღვანელობს. ყოველ წელიწადს 10 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს, ალექსანდრას რად უნდა ხელის საკრეფი აპარატი, მისი თითები აპარატზე სწრაფად მოქმედებსო, ამბობენ მასზე. იყო რაიონული საბჭოს დეპუტატი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საოლქო პარტიული კონფერენციის დელეგატი. დიახ, ასეთი გზა სხვებმაც განვლეს, მაგრამ სხვებისაგან მაინც განსხვავდება — მოყვასი და საერთო საქმისათვის გულმართალი, მეზობლებისათვის ზავდადებული.

ალექსანდრამ ფოლადის ზარი იშოვა და პლანტაციაში დაკიდა. როცა ზარი აწკრიალდება, ბრიგადამ იცის, რომ ალექსანდრა პლანტაციაშია და სხვებსაც უხმობს. ვის მოუთმენს გული, მერგოლური პლანტაციაში მარტოდ ეგულებოდეს. დანარჩენებიც ორლობით პლანტაციებისაკენ მიიჩქარიან. რგოლურმა იჯარამ სხვა შინაარსი შემატა მათს შრომას. ერთსულოვნებისა და თავდადების შედეგია ის, რომ ალექსანდრა სტეფანიდის რგოლმა შარშან რაიონში ყველას აჯობა.

ასე იყო წინა წლებშიაც. დაძაბულ, ნაყოფიერ შრომაში დრო შეუმჩნევლად გადის. შრომას დასვენება მოსდევს. ზამთარში, როცა პლანტაციები თოვლით დაიფარა, რაიონის მოწინავე მეჩაიეები ლენინგრადში საექსკურსიოდ გაგზავნეს. ექსკურსანტებს პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივანი, რაიონის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე გულნარა ბასილაძე ხელმძღვანელობდა. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ალექსანდრას მრავალი ამანათი აღმოაჩნდა. ამდენი რა გიყიდიაო, ჰკითხა რაიკომის მდივანმა, — რგოლში 12 ქალი შეკავს, ყველას მინდა რაღაცით დავამახსოვრო ჩემი ლენინგრადში ყოფნაო. ალექსანდრამ გულისხმიერებითა და ყურადღებით ახლაც აჯობა სხვას...

მუშაობის ოცდაათი წელი ზეიმად გადაიქცა. ალექსანდრა სტეფანიდის პატივებას ხალამო მთელი სოფლის ზეიმად გადაიქცა. რამდენი თბილი სიტყვა თქვა, რაოდენი სიყვარული დაიღვარა, და ის ხალამო გახდა გამორჩეული და ყველასათვის დაუვიწყარი, სოფელსა და მეზობლებზე შეუკარებული უბრალო ქალის ენერგიული შრომის ნაცვალგების ხალამო. რამდენმა ახალგაზრდამ შეიგნო და შეიგრძნო, როგორია ამაგის დაფასება.

სოფელი „წითელი ოქტომბერი“ გორაკებზეა გაშენებული, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს ზღვისპირეთი და კავკასიონი. სოფელი კი ლურჯ წალკოტშია ჩაძირული. ჩაის პლანტაციები და ციტრუსის ბაღები, ხეივნები და ქოქოთა ოდა-სახლები — ასეთად მოხატა იგი გამრჯე მარჯვენამ.

ალექსანდრა სტეფანიდი „წითელ ოქტომბერში“ ერთადერთი როდია. მას მიმდევრებიცა ჰყავს და მასწავლებლებიც. ხელახლაჩაკიდებულ შრომას რა შედეგი მოსდევს, ეს კარგად იციან ქობულეთის რაიონში. მაისის პირველი დღეებიდანვე გაჩაღდა ხარისხოვანი ჩაისათვის ბრძოლა. პირველი ხარისხის იქნება ჩემი მოკრეფილი ჩაის 90 პროცენტი, რგოლისა 80 პროცენტზე მეტი, — გვითხრა ალექსანდრამ. გვჯერა მის რგოლს სხვებიც აუბამენ მხარს, ქართულ ჩაის დაუბრუნებენ ძველ დიდებას.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ა. სტეფანიდი.

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲒᲖᲐᲓᲐᲒᲖᲐ, ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲣᲕᲘᲢᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲓᲐ შორეულ აღმოსავლეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოგზაურობის შესახებ მასალების კრებული „გარდაქმნა გადაუდებელია, იგი ეხება ყველას და ყველაფერს“.

კრებულში შეევიდა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მიერ ვლადივოსტოკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ სიზეიმო კრებაზე, ხაბაროვსკის სამხარეო პარტიული ორგანიზაციის აქტივის თათბირზე წარმოთქმული სიტყვები, 1986 წლის 25-31 ივლისს შორეულ აღმოსავლეთში მისი ყოფნის ამსახველი სხვა მასალები.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ.

(ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ესთეტიკური აღზრდის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის მუსიკალური სასწავლებლების პედაგოგთა დიდ ჯგუფს მიანიჭა საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.“

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

„1986/87 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები განიხილეს თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების იდეოლოგიის დარგის მდივნები, პოლიტგანათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეები, სამინისტროებისა და უწყებების მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოების თავმჯდომარეები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ვ. ნიკოლსკი.

მოხსენება პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მარქსისტულ-ლენინური განათლების გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შესახებ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ნ. ი. პუჩკოვმა.

იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან ადგილებზე მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის, რა პრობლემებს აწყდებიან, რა არის გათვალისწინებული მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მეცადინეობის მოწყობისათვის, თათბირს მოახსენეს პარტიის ქალაქ თბილისის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანმა ვ. მ. იანკოვსკაიამ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგემ ა. პ. არძინბამ, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგის მოადგილემ ც. გ. ტაბიიძემ, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის გამგემ ი. დ. მამიევმა, საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა თ. გ. გიორგაძემ.

ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ

თათბირზე გამართულმა სჯა-ბაასმა მოიცვა პარტიის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების ორგანიზაციის პრაქტიკულად ყველა ასპექტი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უნდა შეიმუშაონ სწავლების ყველაზე ეფექტიანი ფორმები და მეთოდები, რომლებიც შეესაბამება დროის სულისკვეთებას, ადამიანთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მომავალი სასწავლო წელი აქტიურად უნდა გამოიყენონ მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში მეცადინეობის ორგანიზაციისადმი თანამედროვე მიდგომის ექსპერიმენტებისა და აპრობაციისათვის. და აქ ფრიად საჭიროა გარდაქმნებზე მორგება კი არა, არამედ მუშაობაში გარდაქმნა, სწავლის ისე მოწყობა, რომ ადგილი რეორგანიზაციისა — ადამიანებს ცოცხლად, საგნობრივად მიმდინარეობდეს, სრულად ითვალისწინებდეს მსმენელთა შრომითი ან სოციალური ინტერესებიც. ეს ზოგადი ფორმულა ნებისმიერ დარგზე, ნებისმიერ ეკონომიკურ ან ეკონომიკურ-ტექნიკურ ამოცანებთან — ურღვევი კავშირით, რომლებსაც წყვეტენ შრომითი კოლექტივები, მთლიანად საზოგადოება, ენერგიულად მოვიშოროთ თავიდან ფორმალიზმი, სქოლასტიკა და აბსტრაქტულობა, განვაზოგადოთ ყოველივე ის მნიშვნელოვანი, რაც შეძენილია მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე გ. გ. გუმბარიძე.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

„ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢ-ᲛᲠᲔᲬᲕᲘᲡ“ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ტექნიკოსი თინათინ ბეჟუაშვილი ავტომატიზებული სისტემის გამართვის დროს; ლაბორატორიის გამგე ვალერი დავრისაშვილი, მეცნიერი თანამშრომლები თემურ რიგაშვილი და იური ელისეევი ახალი თემის დამუშავების დროს.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲐᲓ მუშაობს სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებებისა და მართვის სისტემების სამინისტროს რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწვის“ კოლექტივი ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის დარგში ავტომატიკის უახლესი საშუალებების, ტელემექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენებით.

რუსთაველ სპეციალისტთა ნამუშევრები დიდი ხანია გასცდა რესპუბლიკისა და ქვეყნის საზღვრებს: ისინი დაინერგა მაგნიტოგორსკის, ჩელიაბინსკის, ჩერეპოვეცისა და სხვა მეტალურგიულ კომბინატებში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, თურქეთის, საბერძნეთის, პაკისტანისა და სხვა ქვეყნების საწარმოებში.

„ავტომატმრეწვი“ მთავარი ორგანიზაციაა მილების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების შექმნის დარგში.

გაერთიანებაში შეიქმნა ახალი ლაბორატორია „მართვის ავტომატიზებული სისტემა — ქალაქი“, მისი თანამშრომლები მოწოდებული არიან შეიმუშაონ ქალაქების წყლით მომარაგებისა და თბომომარაგების მართვის ავტომატიზებული სისტემები. მაგალითად, მათ მოკლე ხანში შეიხსწავლეს ქალაქ რუსთავის წყალსადენი მეურნეობა, განსაზღვრეს მდინარე ხრამის სათავე ნაგებობიდან მიღებული სასმელი წყლის ხარჯი.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ხუთწლეულის დამდეგს დაიწყო მარაბდა-ახალქალაქის ელექტრიფიცირებული რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკისათვის.

მთელი ბუნებრივი სიმდიდრის ათვისება ამ რაიონში, სადაც უხვად არის ვულკანური წიდები, ქვიშა, სხვადასხვაგვარი მოსაპირკეთებელი და საკეთილ მრავალფეროვანი ტუფები, გრანიტები, ბაზალტები და სხვა საშენი მასალები, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ გავიყვანდით რკინიგზას, რომელიც გამოზიდავდა არა მარტო ამ წიაღისეულს, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებსაც.

ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, მჭიდროდ დასახლებული რაიონების მოსახლეობა ძველთაგანვე მისდევდა მესაქონლეობასა და მწყანთმოქმედებას. ახალი არტერია, რომელიც ამ რაიონების ტერიტორიაზე გადის მესხეთისა და ჯავახეთის ქედებს შორის, საქართველოს დედაქალაქს მარაბდის გავლით ახალქალაქთან დააკავშირებს.

როგორც პროექტი იყო გათვალისწინებული (მთავარი დამპროექტებელი კავკასიის სატრანსპორტო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი; დირექტორი — რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი ლ. ქვარცხავა), მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის სიგრძე 160 კილომეტრია. ახლა, როცა გზის მშენებლობა მთავრდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მის განხორციელებაში ყველა იმ რაიონის მცხოვრებნი მონაწილეობდნენ, რომლებზეც ეს გზა გადის.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს გენერალური მოიჯარის „კავკასტრანსმშენის“ ტრესტისა და მისი ქვემოიჯარეების „სამხრეთმშენმექანიზაციისა“ და „ხიდმშენ-12“-ის მშენებლები პირველად მუშაობდნენ მაღალი მთის რთულ საინჟინრო-გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში. ტექნიკისათვის ძნელად მისადგომ ადგილებში ისინი დროულად და მაღალხარისხოვნად ასრულებდნენ სამუშაოს.

დიდი მოცულობის სამშენებლო-სამონტაჟო და საბურღ-ასაფეთქებელ სამუშაოთა შესასრულებლად, რომლებიც პროექტით იყო გათვალისწინებული, „კავკასიის ბამის“ მშენებლობაზე გაიგზავნა მექანიზებული კოლონები, სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლები, რომლებიც აღჭურვილი იყო მძლავრი ექსკავატორებით, მრავალტონიანი თვითმცლელებით, მოწასათხრელი მანქანებით, „მაზებით“, „კრაზებით“, „კამაზებით“ და სხვ.

მშენებელთა რაზმები, რომელთა რიცხვი ორ-ნახევარ ათასს აღემატებოდა, აღჭურვილი იყვნენ სამამულო და უცხოური წარმოების თანამედროვე ტექნიკით და, მართლაც რომ, ზოგს აბრუნებდნენ. მშენებლობაზე ახლაც მუშაობს 50-მდე ექსკავატორი, 120-ზე მეტი თვითმცლელი, 25 ბულდოზერი. მშენებლები ბევრგან ჭრიდნენ ბორცვების ფერდობებს და აბალასტებდნენ მომავალი რკინიგზის საფუძველს. დიდი მოცულობის სამუშაოთა გამო წალკაში შეიქმნა სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო; იგი აშენებდა ობიექტებს, რომლებსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება აქვთ რკინიგზის მაგისტრალთან. აქ 1984 წელს სამუშაოთა კოორდინაციის მიზნით შეიქმნა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის სამშენებლო შტაბი, რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს გამოცდილი მშენებელი, „კავკასტრანსმშენის“ ტრესტის მმართველის მოადგილე გივი თოდუა. ტრესტის ხუთი სამშენებლო ორგანიზაცია დაჩქარებული ტემპით აგებდა რესპუბლიკის სამხრეთში ამ რკინიგზის ტრასას. ლიანდაგის დაგებასთან ერთად შენდებოდა დიდძალი სანიესო და სასამსახურო-ტექნიკური ობიექტები, სატვირთო ეზოები, სკოლები, საავადყოფოები და პოლიკლინიკები.

ახალი რკინიგზის ტრასაზე დიდი ანაწყობი ელემენტებისაგან ინდუსტრიული მეთოდით უკვე აიგო და საექსპლოატაციოდ ჩაბარდა 15-მდე რკინიგზის ვაგზალი, წვეის ქვესადგური, ელექტროცენტრალიზაციის საგუშაგოები, ბევრი საინჟინრო ნაგებობა—დიდი და პატარა ხიდები, ვიადუკები, გზაგამტარები და სხვ.

დიდმასშტაბიანი ობიექტების მშენებლობასთან ერთად გაპყავდათ დროებითი გზები, რომელთა სიგრძე დაახლოებით 40 კილომეტრს შეადგენს.

ახლა, ფოლადის რელსებმა დასერეს მთის ქედები და მასივები, სატვირთო შემადგენლობანი დადის მარაბდა-პოკანის ძველ და ახალ სადგურებს შორის. მთელი რკინიგზის მაგისტრალის ამოქმედება ფართო შესაძლებლობებს შეუქმნის ამ მხარის ეკონომიკის განვითარებას.

ტრასის ყველა პუნქტს შორის ავტომატიზებული სტაბილური კავშირი ჩართულია ამერკავკასიის რკინიგზის სატელეფონო-სადისპეტჩერო კავშირგაბმულობაში. პოკანის სადგურამდე აგებული უბნების მუშაკებს შეუძლიათ პირდაპირი ხაზით ელაპარაკონ ამერკავკასიის რკინიგზის ყველა სადგურს. ავტომატოკარების თანამედროვე მოწყობილობა უზრუნველყოფს მატარებლების დროულ გატარებას და მოძრაობის სრულ უსაფრთხოებას. მშენებლებმა, რომლებიც ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრეს ვადამდე დაავონ რელსები ბაზოლოო პუნქტამდე — ახალქალაქის სამგზავრო სადგურამდე, და 7 ნოემბრისათვის გაუშვან პირველი სამუშაო მატარებელი ელმავლის წევით.

— სადღესოდ, — განაცხადა „კავკასტრანსმშენის“ ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსმა ნიშრეევან კირტაევამ, — 132-ე კილომეტრამდე მთლიანად დაგებულია ლიანდაგი, გასაკეთებელი დარჩა 500 მეტრამდე მიწის ვაკისი, ასაგებია ექვსმალიანი რკინა-ბეტონის ხიდი, უნდა დაიდგას 1100 საკონტაქტო ქსელის საყრდენი, ბოგდანოვკასა და პოკანში დამონტაჟდეს ორი ქვესადგური, დამთავრდეს ახალქალაქის სატვირთო და ბოგდანოვკის სამგზავრო ვაგზლების მშენებლობა და სხვა.

— მშენებლების მიერ აღებული სამუშაოთა ტემპი, რომელთა შორის არიან ვეტერანები უ. ჩხეიძე, ო. გელაშვილი, ა. ველიევი, ლ. მონტინი, დ. სებისკვერაძე, გ. პაპინაშვილი, ო. გოგიჩაიშვილი და სხვები, იმის რწმენას გვმატებს, რომ ვალდებულებანი დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის შესრულდება.

ახლოვდება ის დღე, როცა მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზა მთლიანად ამუშავდება და დიდ წვლილს შეტანებს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას.

მ. ᲗᲐᲮᲩᲐᲜᲐᲒᲝᲕᲐ.

ᲒᲝᲚᲝ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ

ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐ-ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ᲥᲕᲐᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘ— ᲐᲒᲠᲝᲛᲠᲔᲬᲕᲘ

ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ეროვნული
ფაქტები • მოვლენები

ავარიის გაკვეთილები

საბჭოთა და საზღვარგარეთელმა ჟურნალისტებმა 21 აგვისტოს მიიღეს მოკლე ინფორმაცია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის მიზეზებისა და მისი შედეგების შესახებ. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესკონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. მ. პეტროსიანცი. მან თქვა, რომ ავარიის მიზეზებისა და მისი შედეგების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარდგენილია ატომური ენერგიის საერთაშორისო საagენტოში და 25 აგვისტოს მოხსენება ატომური ენერგიის საერთაშორისო საagენტოს წევრი ქვეყნების ტექნიკურ ექსპერტთა თათბირს.

რა იყო 26 აპრილს ჩერნობილში მომხდარი დრამატული მოვლენის მიზეზი? ამ კითხვაზე პასუხი რომ გასცა, ა. მ. პეტროსიანცმა თქვა:

— მთავრობის კომისიის მოხსენების მიხედვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა, აღნიშნულია: ავარია მოხდა იმის გამო, რომ ატომური ელექტროსადგურის მუშაკებმა დაუშვეს ექსპლოატაციის წესების მთელი რიგი უხეში დარღვევები. სადგურის მეოთხე ბლოკი ამოქმედდა 1983 წლის დეკემბერში და ერთობ დამაკმაყოფილებლად მუშაობდა, ისევე როგორც ყველა სხვა ბლოკი. 1985 წელს, მაგალითად, სადგურმა გამოიმუშავა 29 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია და სიმძლავრის გამოყენების კარგი კოეფიციენტი ჰქონდა. ძალზე შესაძლებელია, რომ სადგურის შეუფერხებელმა მუშაობამ გამოიწვია ერთგვარი თვითდამშვიდება და უდარდელობა. და ეს გარკვეულწილად, არაპირდაპირ შეიძლება ყოფილიყო უპასუხისმგებლობის, დაუდევრობის, უდისციპლინობის მიზეზი, რასაც ბოლოო ანგარიშით მძიმე შედეგები მოჰყვა. ორი წლის მუშაობის შემდეგ დაგეგმილი რემონტისათვის მეოთხე ბლოკის გაჩერების წინ ატომური ელექტროსადგურის დირექცია აპირებდა მოეწყო ერთ-ერთი ტურბოგენერატორის გამოცდა. შემოწმებით დადგინდა, რომ გამოცდების პროგრამის ხარისხი დაბალი აღმოჩნდა, ჩაფიქრებული არ იყო უსაფრთხოების საჭირო ღონისძიებანი. 25 აპრილს 14 საათზე გამოირთო რეაქტორის საავარიო გაცივების სისტემა და ექსპერიმენტის შემსრულებლებს უფლება ეძლეოთ შესდგომოდნენ გამოცდებს, მაგრამ კიევენერგოს დისპეტჩერის მოთხოვნით მუშაობიდან ბლოკის გამოყვანა შეაყოვნდა, და იგი განაგრძობდა მუშაობას 26 აპრილს 1 საათსა და 23 წუთამდე, ავარიის მომენტამდე ავარიული გაცივების გამორთული სისტემით. ისინი, ვისი მიზეზითაც მოხდა ავარია, მკაცრად დაისჯნენ.

ავარიის მიზეზების გამომკვლევ ექსპერტთა დიდი ჯგუფის ზედამეთვალყურეობით სერიოზული მუშაობის შესახებ ესაუბრა ჟურნალისტებს ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილე აკადემიკოსი ვ. ა. ლეგასოვი. ბევრი შეკითხვა, რომლებიც ჟურნალისტებმა მეცნიერებს მისცეს, ეხებოდა იმას, თუ რა გავლენას ახდენს ავარიის შედეგები ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემო ბუნებაზე. ამ საკითხებს პასუხი გასცეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა ლ. ა. ილინმა და სსრ კავშირის ჰიდრომეტსამკომის თავმჯდომარემ ი. ა. იზრაელმა. ავარიის შემდეგ სამკურნალოდ გაგზავნილ ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია, ბევრი მათგანი გადის გამაჯანსაღებელ კურსს სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში. მაგრამ მათ რეგულარულად უნდა გაიარონ გულმოდგინე სამედიცინო კონტროლი. ამ მუშაობას კოორდინაციას გაუწევს და წარმართავს, კვლევას განაზორციელებს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის რადიაციული მედიცინის ცენტრი, რომელიც კიევში იქმნება. გამუდმებით ეწევა კონტროლი ავარიის ზემოქმედების გარემო ბუნებაზე. დნეპრის აუზის მდინარეებში წყლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. წარმოებს ყველა ის პროდუქტის მკაცრი დოზიმეტრიული კონტროლი, რომლებსაც მაღაზიებსა და ბაზრებს უგზავნიან.

ბუღალტრების გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტის კითხვაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბირთვული ენერგიისა და კოსმოსის მშვიდობიანი გამოყენების საკითხთა განყოფილების გამგემ ი. კ. ნაზარენკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ მომდინარე წლის მაისში წამოყენებულმა წინადადებებმა ფართო მხარდაჭერა პოვა მთელ მსოფლიოში. კონვენციების პროექტები, რომლებიც ახლახან შეიმუშავეს ვენის თათბირზე, შეიძლება ატომური ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარების სისტემის ფუძემდებელი ელემენტები გახდეს.

მაშ ასე, ავარია, რომლის დეტალები დღეს შეიტყვეს ჟურნალისტებმა, ყველას აფრთხილებს. და აფრთხილებს არა მარტო მეატომე სპეციალისტებსა და ენერგეტიკოსებს. ამ მოვლენებმა, ხაზგასმით არის აღნიშნული განცხადებაში, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა საბჭოთა ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა, საგნობრივი გაკვეთილი მოგვცა იმისა, რა შეიძლება მოხდეს, თუ ბირთვული იარაღი ამოქმედდა. ამ საფრთხის გზაზე კიდევ ერთ დაბრკოლებას ქმნის საბჭოთა კავშირის ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი, რომელსაც კიდევ ერთხელ გაუგრძელდა ვადა 18 აგვისტოს. ეს ბრძნული მოქმედება მსოფლიოს ხალხებს უნერგავს იმედს, რომ ბირთვულ-კოსმოსური ხანის მძლავრი ენერგია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კეთილდღეობას მოხმარდება.

(საკდესის კორ.).

---

21 აგვისტოს თბილისში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ელექტროქიმიკოსთა VI სემინარმა. მის მონაწილეთა შორის იყვნენ ტოკიოს, საპოროს, ამომავალი მზის ქვეყნის სხვა ქალაქების უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების ცნობილი მეცნიერები. საბჭოთა კავშირის მხრივ სემინარში მონაწილეობდნენ მოსკოვისა და თბილისის ელექტროქიმიკოსები.

სემინარის თემა იყო „ფაზათაშორისი საზღვრების აგებულებისა და ელექტროქიმიური კინეტიკის ფუნდამენტური პრობლემები“. ორი ქვეყნის მეცნიერთა შეხვედრების დროს გაიმართა საინტერესო დისკუსია მანგანუმის ელექტროლიზური დიოქსიდის წარმოების, იონების ბუნებისა და მათი კატალიზური აქტიურობის, სუპერშენადნობების ელი კოროზიის შესწავლის პრობლემებსა და სხვა საკითხებზე, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ ენერგიის ახალი წყაროების მიღებისათვის.

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ორი ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელებს ეამბნათ სემინარის შედეგებზე.

ჯ. ჯაფარიძე, სემინარის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი:

— საბჭოთა კავშირ-იაპონიის სემინარი უკვე ტრადიციად იქცა 70-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა იგი პირველად მოეწყო თანამედროვე თეორიული ელექტროქიმიის ფუძემდებლის, თვალსაჩინო ფიზიკოს-ქიმიკოსის ა. ფრუმკინის ინიციატივით. მას შემდეგ რიგრიგობით, ხან მოსკოვში, ხან ტოკიოში, ორი ქვეყნის მეცნიერები იკრიბებიან, რათა ამსჯელონ თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი საინტერესო დარგის მიღწევებზე, გაუზიარონ ერთმანეთს კვლევის ყველაზე ეფექტიანი ქიმიური ელემენტების ძიების გამოცდილება. ამ დარგში მიღწეულ წარმატებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების, სხვადასხვა ხელსაწყოს განვითარებისათვის, რომლებიც ენერგიის სულ უფრო საიმედო ავტონომიურ წყაროებს საჭიროებენ.

შემთხვევითი არ არის, რომ მოსკოვში გახსნილმა ახლანდელმა სემინარმა მუშაობა განაგრძო თბილისში. ქართველ ელექტროქიმიკოსთა მეცადინეობით, მეცნიერთა ფუნდამენტური ნაშუშარების საფუძველზე, რესპუბლიკა გახდა ქვეყანაში მანგანუმის ელექტროლიზური დიოქსიდის ძირითადი მწარმოებელი, რომელიც აუცილებელი მასალაა დენის ქიმიური წყაროების დამზადებისათვის. მთავრობის გადაწყვეტილებებით საქართველოს ეკონომიკის ეს დარგი კიდევ უფრო განვითარდება მეოთრმეტე ხუთწლედში. კერძოდ, რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტთან“ ერთად მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი წარმოება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, რომელიც ნელდ-ეულად გამოიყენებს ჰიათურის საბადოს დაბალი ხარისხის მანგანუმ-კარბონატულ მადანს.

შ. ბარუშამა, ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი:

— იაპონიისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერთა შორის უკვე არაერთი წელია კარგი კონტაქტებია დამყარებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში. განსაკუთრებით ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ თანამედროვე ელექტროქიმიის გამოყენებითი მიმართულებებით. საბჭოთა ელექტროქიმიის სკოლის მიღწევები, რომლის სათავეებთან იდგა აკადემიკოსი ა. ფრუმკინი, ფართოდაა ცნობილი იაპონიაში. თქვენთან განხორციელებული ბევრი ფუნდამენტური გამოკვლევა ჩვენს ქვეყანაში განვითარდა. და დღეს სამეცნიერო ინფორმაციის, იაპონიის უნივერსიტეტებისა და საბჭოთა ინსტიტუტების მეცნიერთა დელეგაციების მუდმივი გაცვლა განამტკიცებს ჩვენს თანამშრომლობას. მოხარული ვარ, კერძოდ, რომ თბილისში გავეცანი არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის ქართველ ელექტროქიმიკოსთა ნაშუშარებს. ვფიქრობ, ასეთი სასარგებლო ურთიერთობა განავითარებს მეცნიერებას, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგების მიღწევას.

კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის

მსოფლიო მიმსალმება საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადება საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, პრესის ორგანოები მაღალ შეფასებას აძლევენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მის გადაწყვეტილებას 1987 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელოს ვადა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს, და მას მიიჩნევენ სახელმწიფო სიბრძნის აქტად, რომელიც შეესაბამება მთელი კაცობრიობის მისწრაფებებს.

პრაღა. სსრ კავშირმა კვლავ ცხადყო, რომ უდიდესი პასუხისმგებლობით უდგება თანამედროვეობის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, წერს **„რუდე პრავო“**. ახალი საბჭოთა ინიციატივა დამაჯერებლად მოწმობს, რომ სოციალიზმი, მშვიდობა და კაცობრიობის ბედნიერი შომავლისათვის ბრძოლა განუყოფელია. სსრ კავშირის რეალისტური პროგრამა გვისახავს იმედს, რომ ჩვენი პლანეტა არ დაიწვება ბირთვული ხანძრის ცეცხლში, რომ პოლიტიკური რეალიზმი და გონება გაიმარჯვებენ ავანტიურიზმსა და უგუნურებაზე.

ვარშავა. საბჭოთა კავშირის მიერ მორატორიუმის გახანგრძლივება, აღნიშნავს **„ტრიბუნა ლუდუ“**, გამალებული შეიარაღების შეკავებისა და განიარაღების მთელი პროგრამის რეალიზაციის გზაზე პირველი ნაბიჯის გადადგმის ისტორიულ შანს იძლევა. სწორედ ასე შეაფასეს ეს გადაწყვეტილება მსოფლიო გაერთიანების უმრავლესობამ და ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ. საბჭოთა მორატორიუმისადმი ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება მისი იმ ნამდვილი ზრახვების შემოწმებაა, რომელთა დაფარვა შეუძლებელი „მშვიდობისმოყვარული“ პროპაგანდისტული ფრაზეოლოგიით.

პეკინი. უპასუხა რა კითხვას საბჭოთა კავშირის მიერ ყველა სახეობის ბირთვული გამოცდების ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა: ეფექტიანი ბირთვული აღიარაღების მიღწევამდე ჩინეთი ამ ინიციატივას ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ ორმა უდიდესმა ბირთვულმა სახელმწიფომ, უწინარეს ყოვლისა, შეწყვიტოს ბირთვული იარაღის გამოცდა, წარმოება და განლაგება, აგრეთვე მნიშვნელოვნად შეამციროს ბირთვული შეიარაღება.

ვაშინგტონი. განმარტა რა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე გამოთქმული სურვილი, რომ პროპაგანდისტული პასუხი რეიგანის ადმინისტრაციის ბოლო სიტყვა იყოს, თეთრი სახლის წარმომადგენელმა კვლავ აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მიდგომა ბირთვული გამოცდების პრობლემისადმი არ შეცვლილა“, თუმცა ამტკიცებდა, „ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვა შეეთანხმება შტატების მიზანია“. ბირთვული გამოცდების აკრძალვის პრობლემისადმი ამერიკის შეერთებული შტატების ნეგატიური მიდგომა დაადასტურა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმაც.

ოტავა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი ყურს არ ათხოვებს მზარდ მოთხოვნებს, აკრძალოს ყველა ბირთვული გამოცდა, წერს მონრეალის **„გაზეტი“**. ვაშინგტონის ნეგატიური რეაქცია საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებაზე გაანგრძლივოს ბირთვული გამოცდების მორატორიუმი, იმედს გვიცუთებს. „გაზეტი“ უარყოფს თეორი სახლის მტკიცებას, თითქოს ბირთვული გამოცდები შეერთებულ შტატებს სჭირდებოდეს მისი უმაშროების უზრუნველყოფისა და ბირთვული არსენალის დაცვისათვის. ეს არადამაჯერებელია, წერს გაზეთი. პირიქით, გამოცდებს მოჰყავება გამალებული შეიარაღების ესკალაცია, და მისი უწყვეტი სპირალი ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობას ნაკლებად სტაბილურს ხდის.

კანბერა. ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **უ. ჰეიდენმა** განაცხადა, რომ მიესალმება ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმის გახანგრძლივებას, რომელიც გამოაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, და აღნიშნა, რომ ავსტრალია მხარს უჭერს ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვის შესახებ ურთიერთმისაღები ხელშეკრულების დადებას, რომელიც სავალდებულო ხასიათისა იქნება და დაექვემდებარება ეფექტიან შემოწმებას.

ბონი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ვ. **ბრანდტმა** გაზეთ „გენერალ ანეიგერისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ხაზი გაუსვა, რომ „შეუძლებელია გადაჭრა ბ ე ბ ი თ შეაფასო“ ახალი საბჭოთა ინიციატივა. ვ. ბრანდტმა გააკრიტიკა ამერიკის ადმინისტრაციის პოზიცია, რომელმაც სსრ კავშირის მორატორიუმის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ანალოგიური საპასუხო ნაბიჯი თითქოს „არ შეესაბამება შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების უშიშროების ინტერესებს“. „სამწუხაროა იქნება, თუ ამერიკელების ბოლო სიტყვა ეს არის“, — აღნიშნა ვ. ბრანდტმა.

ტოკიო. იაპონია მიესალმება საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას 1987 წლის 1 იანვრამდე გაუგრძელოს ვადა ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივ მორატორიუმს, განაცხადა იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, როცა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სსრ კავშირთან ერთად უნდა განაზორციელოს ბირთვული გამოცდების სრული აკრძალვისათვის გამიზნული ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირის ინიციატივა მიზნად ისახავს გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტის უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევას. წერს **„ასაჰი“**. ჩვენ მივესალმებით მორატორიუმის გახანგრძლივებას. აღნიშნა რა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯს, რომელიც მან გადადგა იმის მიუხედავად, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს შეუერთდეს საბჭოთა ინიციატივას, „ასაჰი“ აღნიშნავს: ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის შემდგომი უარი, პოზიტიურად გამოეხმაუროს საბჭოთა წინადადებას, მას სარგებლობას არ მოუტანს.

კაირო. აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს ესმით, თუ რაოდენ სერიოზული და პასუხისმგებლური ია საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილება. აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია გმობს ამერიკის ადმინისტრაციას იმის გამო, რომ იგი სულ უფრო სრულყოფილი და სანდოთო მოსაკვდინებელი იარაღის დამზადებისათვის ხარჯავს კოლოსალურ სახსრებს, რომლებიც შეიძლება მოხმარდეს შიმშილის, სიღატაკისა და სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოს კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის მშენებლობა.

ქენევა. უენევის განიარაღების კონფერენციის მონაწილეთა გამოხმაურება მოწმობს, თუ რაოდენ დიდი და აქტუალური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას 1987 წლის 1 იანვრამდე კვლავ გაუგრძელოს ვადა ბირთვული აფეთქებების ცალმხრივ მორატორიუმს.

გამალებული ბირთვული შეიარაღების ეფექტიანი შეწყვეტისათვის გამიზნული გაბედული, უმაგალითო ნაბიჯი უწოდა საბჭოთა მორატორიუმს მოლმ ვეიფოდამ (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა). დადგა დრო, თქვა მან, რომ ბირთვული იარაღის მქონე სხვა სახელმწიფოებმა, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, შესაბამისი პასუხი გასცენ სსრ კავშირის ამ კონსტრუქციულ ინიციატივას, რომელსაც ტაშს უკრავს მთელი მსოფლიო.

როგორც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა სტანისლავ ტროპანსკიმ განაცხადა, საბჭოთა კავშირმა ახალი მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობაში. ყველა ქვეყნის ხალხები ელიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე გამოიჩენს ახალ მიდგომას რეალიზმის, მშვიდობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ეს არ ხდება.

როგორც ნურედი ქერუმმა (ანგოლის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა) თქვა, მხოლოდ მორატორიუმის საერთო მიღება და ბირთვული გამოცდების აკრძალვის მოლაპარაკებისათ ვ ი ს სრული მზადყოფნა დააკმაყოფილებს მსოფლიო გაერთიანების მისწრაფებებს.

პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. ნ. კაშირინი შეეხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ საბჭოთა ტელევიზიით გაკეთებული განცხადების ძირითად დებულებებს. ბირთვულ საუკუნეში ატომური დაღუპვისაგან დედამიწის ხსნა საკაცობრიო ამოცანა, ყველა ხალხის საქმეა, ხაზი გაუსვა მან. საბჭოთა კავშირი ატომურ მორატორიუმს მიიჩნევს არა თვითმიზნად, არამედ ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად.

საბჭოთა დელეგაციის თხოვნით მ. ს. გორბაჩოვის 18 აგვისტოს განცხადების ტექსტი გავრცელდება, როგორც კონფერენციის ოფიციალური დოკუმენტი.

ექიმთა მოწოდება

ნიუ-იორკი. „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ ექიმთა“ გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც მიეხალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოცხადებულ გადაწყვეტილებას ბირთვულ აფეთქებათა საბჭოთა ცალმხრივი მორატორიუმის გახანგრძლივების შესახებ. განცხადება შეიცავს მოწოდებას დაუწესებელ ერთობლივი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორატორიუმი ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებას.

ამერიკის ნამდვილი სახე

ტრაგედია ედმონტში

ნიუ-იორკი. ამერიკის ოკლაჰომის შტატის ქალაქ ედმონტში სისხლიანი ტრაგედია მოხდა. 42 წლის ფოსტალიონი პატრიკ შერლი, რომელსაც დათხოვნა ემუქრებოდა, სამი პისტოლეტით შეიარაღებული მივიდა სამუშაოზე და ცეცხლი დაუშინა თანამშრომლებს, შემდეგ კი თავი მოიკლა. როცა პოლიცია შემთხვევის ადგილას მივიდა, 14 გვამი და რამდენიმე დაჭრილი კაცი დახვდა. ოდესღაც შერილი საზღვაო ქვეითი ჯარში და ეროვნულ გვარდიაში მსახურობდა და პისტოლეტის სროლის ინსტრუქტორი იყო.

ედმონტის ტრაგედია მასობრივი მკვლელობის პირველი შემთხვევა როდია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ორი წლის წინათ მთელი ქვეყანა შეძრა სანისიდროს (კალიფორნიის შტატი) „მაკდონალდსის“ ფირმის კაფეში მომხდარმა ხოცვა-ჟლეტამ, როცა ვინმე ჯეიმს ჰიუბერტმა, რომელმაც წინა დღით სამუშაო დაკარგა, 21 კაცი მოკლა.

ამერიკის შეერთებული შტატების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც ანა ედმონტის დრამის დეტალებს აღწერენ, ცდილობენ არ შეეხონ ამგვარ ბოროტმოქმედებათა სოციალურ მიზეზებს. ამავე დროს სწორედ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა უმუშევრობა, უბინობა, შიმშილი და ამით გამოწვეული ოჯახური კრიზისი, ძალმომრეობის ფართო პროპაგანდასთან ერთად, ამერიკელთა ავრესიულობას ზრდის. ხშირად შეიმჩნევა, აღინიშნა ამას წინათ დენვერში (კოლორადოს შტატი) გამართულ არაბუნებრივი სიკვდილის შემთხვევათა მიზეზების შემსწავლელ ეროვნულ კონფერენციაზე, რომ ადამიანები, რომლებსაც სამუშაო არა აქვთ, ღრმა სტრესის მდგომარეობაში არიან.

ფოტოფაქტი

„კონფლიქტის“ საბაბით

„გადასახლება გენოციდია“ — ამ ლოზუნგით ნავახოს ტომის ინდიელები პროტესტს აცხადებენ ხელისუფალთა განზრახვის წინააღმდეგ ათასობით მკვიდრი ამერიკელი გააძევონ მშობლიური მიწა-წყლიდან.

„კონფლიქტის“ მოგონილი საბაბით, რომელიც თითქოს წარმოიშვა ნავახოსა და ხოპის ინდიელთა შორის, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო კანონი, რომელიც ითვალისწინებს 15 ათასამდე კაცის ძალით გასახლებას ტერიტორიიდან, მათ რომ უკავიათ ოდითგანვე არიზონის შტატში. ტომის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ბარბაროსული აქტის ნამდვილი მიზეზია ამერიკის ნავთობისა და სამთომომპოვებელი კორპორაციების მისწრაფება ხელთ იგდონ სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი მიწები.

სურათზე: ნავახო ქალები საპროტესტო დემონსტრაციაზე.

საკდესის ფოტო.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი. პენტაგონმა დაიწყო კონტრრევოლუციონერთა ბანდების სამხედრო მომზადების კონკრეტული გეგმების შემუშავება, რომელთა ხელით ვაშინგტონი ეწევა გამოუცხადებელ ომს სუვერენული ნიკარაგუის წინააღმდეგ.**

◆ **პარიზი.** ფრანგ კომუნისტთა გაზეთ „ლუმანიტეს“ დღესასწაულისათვის მზადების საკითხები განიხილეს პარიზის გარეუბან ბანიეში გამართულ კომპარტიის აქტივისტთა საერთო-ეროვნულ შეხვედრაზე. როგორც ცნობილია, „ლუმანიტეს“ დღესასწაული სექტემბრის შუა რიცხვებში უნდა მოეწყოს.

◆ **ვარშავა.** პოლონეთის საკურორტო ქალაქ სოპოტის „ტყის ოპერაში“ გაიხსნა სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „სოპოტი-86. საესტრადო სიმღერის შემსრულებელთა ეს კონკურსი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია ევროპაში, უკვე ოცდაშესამეჯერ ეწყობა. ოთხი დღის განმავლობაში თავიანთ ხელოვნებას გააცნობენ მსმენელებს 17 ქვეყნიდან ჩამოსული საესტრადო მომღერლები და კოლექტივები.

ავარიის გაკვეთილები

ეროვნიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. კ. ი. **ბაქრაძე** დანიშნა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

სოციალისტურ ქვეყნებში

ახალი ამბები

ჰრაღა

სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში ბიოტექნოლოგიის უახლეს მიღწევათა დანერგვას ასახავს ექსპოზიცია, რომელიც მოეწყო ქალაქ ნიტრაში გამოფენაზე „აგროკომპლექსი-86“. იგი აშუქებს სოციალისტური ქვეყნების სპეციალისტთა წარმატებებს თანამედროვე აგროსამრეწველო ტექნოლოგიების განვითარებაში. დამთვალიერებლები ეცნობიან საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერების მიერ შექმნილი მეცნოველეობის ლაბორატორიის კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის პროგრამას. იგი აღქურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომელიც საშუალებას იძლევა ფართოდ დაინერგოს მეცხოველეობის განვითარებაში ბიოტექნოლოგიის მეთოდები.

ბუდაპეშტი

საცხოვრებელი კომპლექსების, ბავშვთა დაწესებულებების, სკოლების, სახოფლო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობაზე შრომობდნენ ამ ზაფხულს უნგრეთის ახალგაზრდული სამშენებლო რაზმების მონაწილენი. მესამე სემესტრის მშენებლობებზე მუშაობდა 43 ათასზე მეტი სტუდენტი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმების მოსწავლე და უფროსკლასელები.

შრომითი ზაფხული-86 მიმდინარეობდა უნგრეთის კომკავშირის მაისში გამართული XI ყრილობის მოწოდებით. ასრულებენ რა მის გადაწყვეტილებებს, სამშენებლო რაზმების მებრძოლები მუშაობდნენ დიდი უკუგებით ბუდაპეშტის მეტროპოლიტენის ახალი უბნების მშენებლობაზე, უნგრეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საშეფო მშენებლობაზე — პაქშის ატომურ ელექტროსადგურში, რესპუბლიკის ბევრი ქალაქის უნიკალური არქიტექტურული ანსამბლების რესტავრაციაზე.

საწარმოო გეგმების შესრულებაში უნგრელ სტუდენტებს დიდი დახმარება გაუწია მომძლე სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსულმა 12 ათასამდე თანატოლმა, რომლებიც შრომობდნენ ინტერნაციონალური სამშენებლო ბრიგადების შემადგენლობაში.

ზაგრები

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში საუკეთესო შეფასება მიეცა პირველ პროდუქციას, რომელიც წელს გადმოვიდა მიკროელექტრონიკის ქარხნის „ხენალის“ კონვეიერიდან. ეს ქარხანა აქ აშენდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით.

რესპუბლიკაში უკვე მოქმედებს რამდენიმე ქარხანა, რომლებიც უშვებენ სხვადასხვა სანოობის ელექტრომოწყობილობას, სახალხო მეურნეობის ბევრი დარგისათვის ავტომატიზაციის საშუალებებს. მათ შორისაა ტელანსა და ფხენიანის ელექტრომექანიკური ქარხნები. საწარმო „სენალი“ სამამულო მრეწველობის განვითარების უფრო ფართო პერსპექტივას ასახავს. მისი ელექტროძრავები გათვალისწინებულია მაცივრების, სარეცხი მანქანების, ელექტროსაყოფაცხოვრებო და სარეწველო ხელსაწყოებისათვის.

რესპუბლიკის მუშათა კოლექტივები, რომლებიც ისწრაფვიან დაკმაყოფილონ უახლეს ტექნიკაზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილებანი, მთელ თავიანთ მეცადინეობას ახმარენ პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებას, ითვისებენ თანამედროვე ტიპის ელექტრომოწყობილობისა და ხელსაწყოების წარმოებას, რომლებიც წინათ საზღვარგარეთიდან შემოპქონდათ.

◆ **ლიბანი**

კვლავ დაძაბულობა

ბეირუთი. ისრაელმა ოკუპანტებმა და კოლაბორაციონისტული „სამხრეთ ლიბანის არმიის“ შენაერთებმა არტილერიის ცეცხლი დაუშინეს დასახლებულ პუნქტებს კაფრს, იათერსა და ზილაიას, რომლებიც მდებარეობენ ქვეყნის სამხრეთში ეგრეთ წოდებული „უშიშროების ზონის“ ახლოს. დაინგრა ბევრი საცხოვრებელი ნაგებობა, მოსახლეობა დიდად დაზარალდა მატერიალურად. დამსჯელი რეიდი მოეწყო სამხრეთ ლიბანის სოფელ აითა-შაბის მცხოვრებთა წინააღმდეგ.

შემაშფოთებელი ცნობები მოდის ლიბანის ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილში მდებარე ალ-ჰიბშის რაიონში ისრაელთა მიერ შექმნილი საკონცენტრაციო ბანაკიდან. ზედამხედველები პატიმრებს სასტიკად აწამებენ, უკრძალავენ ნათესავებთან მიმოწერასა და შეხვედრებს. ალ-ჰიბშში მოხდა ტუსაღთა მღელვარება, რომელიც სასტიკად ჩაახშო ბანაკის ადმინისტრაციამ.

ლიბანის დედაქალაქის ორ სექტორად გამყოფი „მწვანე ხაზის“ გასწვრივ არ წყდება სროლა მოწინააღმდეგეთა შორის. ცეცხლი დაუშინეს ხაზის მომდებარე საცხოვრებელ უბნებს ბეირუთის ორივე ნაწილში.

◆ **ნიკარაგუა-აშშ**

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲖᲔ





ᲐᲠᲪᲗᲣ ისე დიდი ხანია, რაც თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტს ცალკე გამოეყო თეატრალური მხატვრობა, რომლის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი რესპუბლიკის სახალხო მხატვარი, პროფესორი ფარნაოზ ლაპიაშვილია. მისი უშუალო მეცადინეობითა და ხელმძღვანელობით არაერთი თეატრალური მხატვარი დაოსტატდა. ახლახან თბილისის მხატვრის სახლში გაიხსნა ოთხი კურსდამთავრებულის გამოფენა. ექსპოზიციაშია სადიპლომო ნამუშევრები და თავისუფალ თემაზე შესრულებული ნაწარმოებები. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ოთხივე ჭაბუკი — ლ. ხარანაული, ლ. ჭიჭინაძე, ლ. სილაგაძე, თ. ჩხუტაშვილი, ერთის შეხედვით, თითქოს ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ყოველი მათგანის ხელწერა ინდივიდუალურია. ის საერთო მსგავსება, რომელსაც თავიდან ხედავთ, მათი მოძღვრისა და პედაგოგის ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებითი სკოლის სახეა. ოთხივე ჭაბუკი მტკიცედ მიჰყვება რეალისტური შემოქმედების გზას. ეს გზა არ არის ერთფეროვანი და მოსაწყენი. მარადმ ალ ... ...